ხონი

2021 წელი
10
დეკემბერი
პარასკევი
№14 (7535)

ხონის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის გაზეთი

გაზეთი გამოდის 1932 წლის 5 იანვრიდან

მეის ანგარიში

ამ დღეებში ხონის მუნიციპალიტეტის მერმა **ლადო ჯურხაძემ** საზოგადოებას წარუდგინა 2021 წლის ანგარიში. მან დაწვრილებით ისაუბრა იმ პროექტებზე, რომელიც საანგარიშო პერიოდში განხორციელდა. მერის თქმით, 2021 წელს ბიუჯეტის შესრულების ნაწილში, ქვეყნის მასშტაბით ხონი ერთ-ერთი მოწინავე მუნიციპალიტეტია.

2021 წელს ხონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტი პანდემიასთან ბრძოლის პარალელურად იყო ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსება, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარება და სხვ.

ანგარიშის თანახმად, მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობამ ჯამში 13 მილიონამდე ლარი შეადგინა. აქედან მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტის სოციალური და ჯანდაცვის სფეროს ღონისძიებების დაფინანსებისთვის 1 103, 3 ათასი ლარი გამოიყო, რაც სოციალური და ჯანდაცვის დანიშნულების 24-ე ქვეპროგრამის დასაფინანსებლად იქნა გამოყენებული.

2021 წლის 9 თვის ანგარიშში ბ-ნი **ლადო ჯურხაძე** შეეხო სხვადასხვა ფონდებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს. საგზაო ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო დანესებულებების რეაბილიტაციის კუთხით გაწეულ სამუშაოებს.

მერმა ყურადღება გაამახვილა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კარგ პრაქტიკაზე. გამჭირვალეობისა და სერვისების ხელმისაწვდომობის გამარტივებაზე.

ასევე ისაუბრა ინვესტორებსა და მათთვის სათანადო გარემოს შექმნაზე. დააანონსა რამდენიმე მსხვილი კომპანიის შემოსვლა და დამატებითი სამუშაო ადგილების შესახებ.

საკრებულოს პირველ სხდომაზე

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა.

საკრებულოს პირველი სხდომა ხონის N55 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **მაგდა კობეშავიძემ** გახსნა. მან საკრებულოს წევრებს სიტყვით მიმართა და 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების შედეგებზე ისაუბრა, რის შემდეგაც საკრებულოს სხდომას უხუცესი წევრი **ნაზიბროლა გეგია** წარუძღვა და დეპუტატებს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები გააცნო.

ახალი საკრებულო 30 დეპუტატისგან შედგება. აქედან 20 მანდატი „ქართულ ოცნებას" ეკუთვნის, 5 „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის", 4 „ევროპულ საქართველოს" და 1 პარტია „საქართველოსთვის".

ახალი მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარედ ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე **ვალერი ბახტაძე** აირჩიეს. თავმჯდომარის პირველი მოადგილედ – **გელა ჩოგოვაძე,** მოადგილეებად – **კობა კუბლაშვილი და არჩილ სალარაძე.**

ასევე ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომაზე არჩეულ იქნა საკრებულოს

მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობა და მიიღეს გადაწყვეტილება ფრაქციების შექმნის შესახებ.

კომისიების თავმჯდომარეებად არჩეულ იქნა:

ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე — **ზაზა რუხაძე;**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — **დემურ სულაბერიძე;**

განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — **გურამ ბახტაძე;**

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე-**ზაზა ვაშაკიძე;**

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე — **ზურაბ მიქაძე.**

ფრაქციის თავმჯდომარეებად არჩეულ იქნა:

ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო"-**კახა ფირცხალავა;**

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა"— **ბესარიონ ჭელიძე;**

ვუსურვოთ ახლადარჩეულ საკრებულოს წარმატებები.

გვეამაყები!

შორენა ქავზინაძე – იმერეთის რეგიონის საუკეთესო მასწავლებელი მათემატიკაში. მასწავლებლად დაბადებული, გამორჩეული შრომისმოყვარეობით, უბრალოებითა და თავმდაბლობით. უყვართ და უყვარს... ეს ბილბორდი ქუთაისშია განთავსებული. **„თუ ბავშვს მასწავლებელი უყვარს, საგანიც უყვარდება და შესაბამისად სწავლაც უადვილდება... ვისაც სურვილი აქვს დაიწყოს პედაგოგიური მოღვაწეობა, ვეტყვი, რომ წარმატებების პირამიდა წარუმატებლობის აგურებისგან არის აშენებული. ძალიან ბევრი უნდა იშრომო და შედეგიც ყოველთვის დაიდება"**, – ამბობს ქ-ნი შორენა. კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენ, მესამე საჯარო სკოლას და ყველა ხონელს. გვეამაყებით. წარმატებები შორენა მასწავლებელსა და მის მოსწავლეებს.

კომპიუტერული ლაბორატორია

ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის მხარდაჭერითა და კეთილ ადამიანთა დახმარებით ხონის მეოთხე საჯარო სკოლას საჩუქრად გადაეცა კომპიუტერული ლაბორატორია. ეს ფასდაუდებელი საჩუქარი დევნილ ახალგაზრდებს გაუკეთა სლოვაკეთის მთავრობამ და ამ დღეებში სკოლის დირექტორმა **ნაილი ცუხიშვილმა** ჩაიბარა 20 კომპიუტერი, 12 პლანშეტი, პრინტერები. დეკემბრის თვეში იგეგმება კომპიუტერული ლაბორატორიის გახსნა.

როგორც სკოლის დირექტორმა **ნაილი ცუხიშვილმა** ბრძანა, ესაა ჩვენი ერთ-ერთი ახდენილი ოცნება. დღეს, ტექნოლოგიების ხანაში, დღეს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ყველას გვჭირდება კომპიუტერი, ინტერნეტ–სივრცე, რაც იძლევა შესაძლებლობას ნვდომა გვქონდეს ზღვა ინფორმაციასთან, დავამკვიდროთ ევროპული სტანდარტი სწავლა–სწავლებაში და მივიღოთ მაქსიმალური შედეგი...

მადლობა ყველას, ვინც ეს საახალწლო საჩუქარი გაუკეთა დევნილ ახალგაზრდებს.

გილოცავთ!

ქუტირის აკ. ტერელაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მოსწავლეები დამსახურებულ გამარჯვებასა და ევროპის ჩემპიონის ტიტულს ულოცავს სკოლის კურსდამთავრებულს **ზაურ (ბაჩო) რუხაძეს.** მან ეკატერინბურგში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე კლასიკურ ნოლჭიმში ოთხ ქართველთან ერთად მოიპოვა ოქროს მედალი და გახდა ჩემპიონი.

გილოცავთ ბაჩო, და გისურვებთ წარმატებებს.

გვეამაყები და გვახარებს შენი თავდაუზოგავი შრომის უმაღლესი შედეგი. ეს ერთი და სხვა მრავალი ოქრო, ჩემპიონობა და ნარმატება.

სახელოვან სპორტსმენს **ბაჩო რუხაძეს** ამ დღეებში შეხვედრა მოუწყვეს ქალაქის მერიაში. მერმა ბ-ნმა **ლადო ჯურხაძემ** კიდევ ერთხელ მიულოცა ეს დიდი ნარმატება და უსურვა, მრავალგზის გამარჯვება და ქართული ჰიმნის გაჟღერება რუსეთსა და სხვა ქვეყნებში.

მასალები მოამზადა
მაია ფეიქრიშვილმა

მერები ეკონომიკური ზრდისთვის

ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ერთობლივი ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" პროექტის ფარგლებში გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდა ჩვენი მუნიციპალიტეტის მერი **ლადო ჯურხაძე.**

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **მზია გიორგობიანი** უძღვებოდა, განიხილეს მუნიციპალიტეტების მიერ განხოციელებული პროექტები და ისაუბრეს სამომავლო გეგმების შესახებ, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ მუნიციპალიეტეტების ეკონომიკურ განვითარებასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

„ხონის მუნიციპალიტეტი ამჯერადაც აქტიურად ჩაერთვება პროექტში და მაქსიმალურად შეეცდება ამ პლატფორმის საშუალებით, როგორც მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდას, ასევე დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სხვადასხვა პროექტების განხორციელებას", – განაცხადა **ლადო ჯურხაძემ.**

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტები

დღეისათვის, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო პროგრამები, რომელებიც დიდად მნიშვნელოვანი და სარგებლიანია. ჩვენს მუნიციპალიტეტში თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ, ამასთან დაკავშირებით გვესაუბრება ხონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი **ბადრი ბახტაძე:**

სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი" კენკროვნების ქვეკომპონენტის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან ბოლო პერიოდში პროექტით ისარგებლა 62 ბენეფიციარმა. გაშენდა 19,6 ჰა მრავალწლიანი ბაღები. მათ შორის 17,3 ჰა ლურჯი მოცვის ბაღი, 1,4 ჰა უეკლო მაყვალი, 0,7 ჰა ჟოლო.

აღნიშნული ბაღები სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული იქნა 100 პროცენტით.

ადრე გაშენებული ბაღებიდან მიღებული მოსავალი ფერმერებმა ადგილზე გაყიდეს, საშუალოდ 1 კგ. 6 დოლარად.

იგივე პროექტის ფარგლებში რაიონში ბოლო წლებში გაშენდა 80 ჰა-მდე ლურჯი მოცვის პლანტაცია და დღესაც მიმდინარეობს სამუშაოები ამ პროექტის ფარგლებში.

ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტში აგრეთვე გაშენდა 90 ჰა-მდე ტყემლის პლანტაცია.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის „დანერგე მომავალი" პროექტის ფაერგლებში ივარით აღებული 80 ჰა-დან მიმდინარე წელს გაშენდება 25 ჰა დაფნის პლანტაცია. რაიონში ასევე მიმდინარეობს გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსებით პროექტის ფარგლებში ორი საწარმოს მშენებლობა – სოფ. ახალშენში და სოფ. ქუტირში.

ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დღეისათვის რეაბილიტირებულია 150 ჰა ჩაის ფართობი, აშენდა 3 ჩაის პირველადი გადამამუშავებელი საწარმო. ამ კუთხით რაიონს პერსპექტივა გააჩნია, რაც მეტყველებს პროექტის მიმართ არსებულ ინტერესზე.

მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტიდან 12 ბენეფიციარი დაფინანსდა როგორც ტრაქტორებით, ასევე სასოფლო-სამეურნეო იარაღებით.

ამ პროექტებთან ერთად მიმდინარეობს მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს დღეისათვის მხოლოდ ვეტერინარიისა და ხელოვნური განაყოფიერების მიმართულებით საჭირო ინვენტარის თანადაფინანსებით შეძენას.

როგორც ბატონი ბადრის საუბრიდან ვიგებთ, დღეისათვის ჩვენს მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მთელი რიგი პროექტები, რომლებიც სახელმნიფოს მიერ ფინანსდება, თუ ვინმეს აინტერესებს ამასთან დაკავშირებით ინფორმაცია,

მიბრძანდით ხონის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრში, სადაც სათანადო ინფორმაციას მოგანვდიან.

ქეთევან ბახტაძე

ჩაის გადამამუშავებელი ახალი საწარმო

ხონში მიმდინარე სასიკეთო სიახლეებს ყველა ამჩნევს და, მართლაც აღსანიშნავია,რომ 2021 წელს პანდემიის სირთულეებთან ბრძოლის პარალელურად შეუფერხებლად მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურის, სოციალური და ჯანმრთელობის პროგრამების დაფინანსება, განათლების, კულტურის, სპორტის განვითარება. სოციალური და ჯანდაცვის სფერო,სხვადასხვა ფონდებითა და გრანტებით დაფინანსებული პროექტები, საგზაო ინფრასტრუქტურისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების რეაბილიტაციის კუთხით განეული სამუშაოები,რამდენიმე მსხვილი კომპანიის შემოსვლა და დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენის პერსპექტივა გვაიმედებს და ცხადყოფს, რომ ჩვენი ქალაქი ლამაზდება, ვითარდება და მშვენიერდება.. სულ ახლახანს კი ხონის მუნიციპალიტეტის მერმა ლადო ჯურხაძემ და „საპარტნიორო ფონდის" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ სს „პანთანგიუანის საერთაშორისო ჰოლდინგური ჯგუფის" ადმინისტრაციულ მენეჯერთან გიორგი სიმონგულაშვილთან ერთად, ხონში ჩაის განვითარების პროექტისა და ჩაის გადამამუშავებელი ახალი საწარმოს შესახებ ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. საქართველოს მასშტაბით ჩაის პლანტაციების აღდგენასა და გაშენებას, ჩაის კულტურულ გადამუშავებას, მრეწველობის გაძლიერებას, ჩაის მუზეუმის მშენებლობას, ჩაის ეკოტურიზმის განვითარებასა და პროფესიული გადამზადების სასწავლო პროგრამების უზრუნველყოფას მოიცავს ჩაის ნახევარმილიარდიანი, ინდუსტრიულ-კომერციული და კულტურულ-ტურისტული პროექტი. ხონის მუნიციპალიტეტს კი პროექტში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება ინდუსტრიის რეაბილიტაციისა და განვითარების მიმართულებით, და რაც ერთ-ერთი და უმთავრესია, ითვალისწინებს ადგილობრივების დასაქმებას, მათთვის ჩაის კულტურული დამუშავების სნავლებასა და პროფესიულ გადამზადებას. ადგილობრივ მოსახლეობას დაწვრილებით გააცნეს ინვესტორის გეგმები და ის პერსპექტივები, რომლებსაც ახალი პროექტი მოიაზრებს რეგიონის განვითარებისთვის. ხონს ხომ დიდი ისტორიული წარსული აქვს ჩაის წარმოებაში და როგორც ხონის მერმა ლადო ჯურხაძემ აღნიშნა: – „ასეთი უდიდესი კომპანიის შემოსვლა ჩაის კულტურის აღდგენის სანინდარია, რაც მცირე მეწარმეებსაც მისცემს სტიმულს, თავანთი პროდუქცია ამ ქარხანაში ჩააბარონ, გადაამუშაონ, შეფუთონ და ფართო ბაზრებზე გაიტანონ სარეალიზაციოდ," პროექტი რამდენიმე ფაზას მოიცავს: პირველი ფაზა გულისხმობს 60 ჰექტარზე ჩაის ბაღის გამოსაყენებელი ფართობის რეაბილიტაციას, გაშენებას და ორგანული, მაღალი ხარისხის სხვადასხვა სახეობის ჩაის წარმოებას. ხოლო მეორე ეტაპი მოიცავს დაახლოებით, 4.8 ჰექტარზე ჩაის თემატური ვილების აშენებას, რომლებიც ინტეგრირებული იქნება ჩაის პლანტაციებთან, დაიტვირთება ჰიდროთერაპიისა და სარელაქსაციო-გამაჯანსაღებელი ფუნქციით. პარკი აღჭურვილი იქნება ცხენის ფერმით, პატარა ლანდშაფტური პარკით და პანორამული კოშკით. პროექტის დასრულების შემდეგ ბიზნესს ექნება შემდეგი მიმართულებები: მოკლევადიანი ტურისტული განსახლება ჩაის ბაღის დამქირავებლებისთვის, ოჯახური სტილის დასვენება, ხანდაზმული პაციენტების ჯანმრთელობის დაცვა და ფიზიოთერაპია, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება და მოგზაურობა. ხონში 1,500 კვ.მ ფართზე არსებული ჩაის გადამამუშავებელი და დამაკომპლექტებელი ქარხნის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, ხოლო მისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა-დანადგარები - უკვე შესყიდული.

„საპარტნიორო ფონდი" „ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროექტთან" დაკავშირებით სს „პანთანგიუანის საერთაშორისო ჰოლდინგურ ჯგუფთან" 2016 წლიდან თანამშრომლობს. კომპანიას ჯამში უკვე ინვესტირებული აქვს 1 მილიონ აშშ დოლარზე მეტი, ამუშავებს 70 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციას და უმოკლეს დროში დაასრულებს 300 ჰა ჩაის პლანტაციიდან მიღებული მოსავლის გადამუშავებისთვის სამყოფი სიმძლავრის საწარმოს მშენებლობას.

დასაქმებულთა რაოდენობა სეზონზე 80 ადამიანს აჭარბებს.

ნარმატებით განხორციელებული ყველა პროექტი ხონის და ხონელების წარმატებაა!

ლია ჩიხლაძე

ჯვეარუეჯიდ, ჯვეიმელეჯიდ!..



წარმატებული, ხელითმისათითებელი რომ იყო, ალბათ, მეორე აზრი არ არსებობს, დიდი რუდუნება, წლობით თავდაუზოგავი შრომაა საჭირო, ვინ იცის, რამდენ უძილო ღამეს შეინირავს იგი, ვინ მოსთვლის რამდენ ადამიანურ სურვილზე აგაღებინებს ხელს, მაგრამ, როცა მიზანს დაისახავ და ისიც კარგად გაქვს გათავისებული, რომ მის მისაღწევად თავად უნდა გაანძრიო ხელი, სხვანაირად არ შეგიძლია, გილირს, ალბათ, კიდეც, გილირს იმად, რომ საკუთარ სათქმელს თავად იტყვი და ისიც თამამად, თავანეული იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც არსებობ, ცხოვრობ... და, ეს იმის შეგნებით, რომ თავსაც გამოადგები და სხვასაც.

არაერთხელ დაწერილა ჩვენი მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის პედაგოგების პროფესიონალიზმის, უანგარო, თავდაუზოგავი შრომისა და მათი აღსაზრდელების წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. არც წლევანდელი წელი ყოფილა გამონაკლისი, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებისა.

21 ივნისს ჩვენი მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში (დირექტორი ქ-ნი **მაია სტურუა**) პედაგოგ ქ-ნ **ლია მანაგაძის** კლასის კონცერტი გაიმართა, „მომავლის ვარსკვლავების" მე-14 ეროვნული კონკურსის ლაურეატმა **ზურაბ დანელიამ** და კონცერტმაისტერმა **ლიზი ქავზინაძემ** (სამუსიკო სკოლის წარჩინებული კურსდამთავრებული) ჯადოსნურ სამყაროში ატარეს მსმენელი. აღნიშნული საღამო რამდენიმე დღით უსწრებდა წინ სენაკში ჩატარებულ დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ფესტივალს, რომელიც წელს მეშვიდედ ჩატარდა ხელოვნების აკადემიის გენერალური დირექტორის ბ-ნ **ვალერიან შიუკაშვილის** ხელმძღვანელობით.

სენაკში გამართულ ეროვნულ ფესტივალზე მონაწილეობდნენ ჩვენი სამუსიკო სკოლის წარჩინებული მოსწავლეები: **ზურაბ დანელია** (პედაგოგი **ლია მანაგაძე**), **ანასტასია კოხია, ბარბარე და მარიამ ჯიშკარიანები** (პედაგოგი **ირმა ჯალაღანია**), **ლიზი ქავზინაძე**. ფესტივალზე მრავალ მონაწილეთა შორის უმაღლესი შეფასება დაიმსახურეს **ზურაბ დანელიამ** და **ანასტასია კოხიამ,** ორივე მათგანს ლაურეატის ნოდება მიენიჭა. ფესტივალზე წარმატებულად წარსდგნენ **ლიზი ქავზინაძე, ბარბარე და მარიამ ჯიშკარიანები,** ისინი საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ.

ლაურეატებმა მასტერ–კლასი გაიარეს ბ-ნ **ვალერიან შიუკაშვილთან** და რამდენიმე დღეში სენაკში გამართულ გალა-კონცერტში ღია ცის ქვეშ, სადაც წარმოდგენილ იქნა დასავლეთ საქართველოს მუნიციპალიტეტების სამუსიკო და სახელოვნებო სკოლების ნიჭიერი ახალგაზრდები სხვადასხვა განყოფილებებიდან – საფორტეპიანო, სასულე, სიმებიანი, ვოკალური–მიიღეს მონაწილეობა.

ხელოვნების აკადემიამ მადლობის სიგელი გადასცა ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლას.

გალა კონცერტს ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ესწრებოდნენ მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი **მარიკა რუხაძე,** სამუსიკო სკოლის დირექტორი **მაია სტურუა,** სამუსიკო სკოლის პედაგოგები, მშობლები, სიამაყის გრძნობით აღვსილნი აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ... სამადლობელ სიტყვებს დასასრული არ უჩანდა.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო"-ო — ბრძანებდა ჩვენი წინაპარი, პოეტი. დიახ, ფართო ასპარეზს აძლევენ ჩვენი მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის პედაგოგები თავიანთ აღსაზრდელებს თავიანთი თავდაუზოგავი, უანგარო შრომით, ახლა კი ჯერი მათზეა, მათ არჩევანზე, სად უფრო კომფორტულად, სად უფრო მოსარგებად მოიაზრებენ საკუთარ თავს თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ღმერთისგან ნაბოძებ ნიჭიერებას, გზა – გასაქანი, სწორი მიმართულება, შემდეგ კი მცირე ასპარეზი (რა თქმა უნდა, ეს ამჯერად) მათზე უანგაროდ მზრუნველმა, დედასავით მოამაგე პედაგოგებმა გაუხსნეს... დიახ, ზემოთ **ჯერი** ვახსენე და არცთუ უსაფუძვლოდ, ჯერი თქვენზეა, გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღოთ... ჩვენ კი ნამდვილად გვემაყებით და არა მარტო, გვეიმედებით კიდეც, თქვენ ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალი და ხვალინდელი დღე ხართ.

კიდევ ერთხელ წარმატებები და გამარჯვებები თქვენ! – ზურაბ, ლიზი, ანასტასია, ბარბარე, მარიამ! ყველა ჩვენგანის, უპირველესად თქვენი პედაგოგების, მშობლების, ახლობლების, ამხანაგ-მეგობრების გულის გასახარად.

ნუნუ ფანცულაია

გამარჯობა, სოხუმო!

ამ დღეებში დევნილთა დასახლების თანამედროვე კეთილმოწყობილ კულტურის სახლში გაიმართა სოხუმის თეატრის „თეთრი ტალღა", სპექტაკლი „გამარჯობა, სოხუმო!" მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ **მიხეილ რატიანი – გიორგი რატიანის** ვაჟი. ბ-ნი გიორგის რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები ხონის თეატრში ბევრს გვახსოვს. იგი ბოლოს სწორედ ამ სპექტაკლით გვესტუმრა და ამჯერად აფხაზეთიდან დევნილთა კულტურის სახლში შედგა **ნოდარ დუმბაძის** ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოების „ჰელადოსის" მიხედვით **გურამ ოდიშარიას** მიერ შექმნილი დიდებული სპექტაკლი **„გამარჯობა, სოხუმო".**

იყო საოცარი ემოცია – დიდი ხანია ენატრებათ ჩვენს დევნილებს მშობლიური მიწა-წყალი, მზე სინათლის მფენი, მეგობრები, მეზობლები, ენატრებათ ზღვა, რომელიც შორეა... იყო ცრემლი და იმედი, დიდი იმედი აფხაზეთში დაბრუნებისა, მოლოდინი იმისა, როდის ეტყვის თითოეული მათგანი გამარჯობას სოხუმს, გულში ჩაიხუტებს თეთრ თოლიას და მათკენ მომავალი გემისაკენ გაქანდება, თეთრ, ფითქინა სანატორიუმთან, პალმების ხეივანში ჩაიმუხლებს და განაგრძობს გზას შინისაკენ...

ამ ბოლო წლებში ხონის მერიისა და მრავალი სხვა არასამთავრობო თუ სამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით იმდენი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა დევნილთა დასახლებაში, ისე გალამაზდა და კეთილმოეწყო საცხოვრებელი სახლები, ეზოები, აიგო ღვთის სახლი, გამწვანდა, განაშენიანდა ირგვლივ ყველაფერი,... რომ ერთგან ვნერდი – დევნილებმა ხონში პატარა სოხუმი მოიწყვესთქო, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წარმოსახვით. თქვენ ყოველთვის და ყველგან გენატრებათ სოხუმი, გუდაუთა, გაგრა, კელასური, ოჩამჩირე, ტამიში,...თქვენი აფხაზეთი და არა ფიქრებში, არა ოცნებებში თუ წარმოსახვაში, არამედ რეალობაში გინდათ მშობლიურ მიწაზე დაბრუნება. გეძახით აქოჩრილი ზღვა ტალღებს რომ სიბრაზით ახეთქებს აქეთ-იქეთ და მზის სხივებს ატანს თქვენთან სიყვარულს... მჯერა, ეს ძაფი არ გაწყდება და თქვენთან ერთად ყველანი დავიბრუნებთ აფხაზეთს. აგვხდენოდეს ეს ოცნება ძვირფასებო! გამთლიანდეს, გაბრწყინდეს და გაძლიერდეს სრულიად საქართველო!

მადლობა სოხუმის მოზარდმაყურებელთა თეატრს დაუვიწყარი, ამაღლებული, ცრემლიანი და იმედიანი საღამოსათვის.

მ. ფეიქრიშვილი

გაიმართა კონცერტი

სალოტბარო სკოლის აღსაზრდელებმა ამ დღეებში გამართეს კონცერტი ფოლკლორის ცენტრში. ბავშვებმა საეკლესიო საგალობლები და ტრადიციული, კუთხისთვის დამახასიათებელი სიმღერები შეასრულეს. სალოტბარო სკოლა მეორე წელია მერიის მხარდაჭერით არსებობს.

სკოლის ლოტბარ-რეგენტია **დავით კახიძე,** რომელიც აღფრთოვანებულია მოსწავლეთა მუსიკალური შესაძლებლობებით და მათი განსაკუთრებული ინტერესით საეკლესიო საგალობლებისა და ფოლკლორისადმი.

წარმატებები ვუსურვოთ სკოლას.

მაია ფეიქრიშვილი

დაბადების დღეს გილოცავთ, ქეთი!

10 დეკემბერი ჩვენი ძვირფასი მეგობრის **ქეთევან კირთაძის** დაბადების დღეა.

ჩვენო ქეთი! მეორე დაბადების დღე მოდის უშენოდ. უზომო ტკივილია თითოეული ჩვენგანისათვის უშენობა. დღემდე გვიჭირს ამ რეალობასთან შეგუება, მაგრამ...

შენ ხომ კეთილშობილი, ჭკვიანი, ყველასათვის იმედის მომცემი იყავი.

შენი საქმისადმი უალრესად პასუხისმგებლიანი და პროფესიული მიდგომით, კარგი ადამიანური თვისებებით მუდამ იმსახურებდი გარშემომყოფთა სიყვარულსა და პატივისცემას, ამიტომაც გიგონებთ დიდი გულისტკივილითა და მონატრებით.

იმედით შეპყურებდი შენს ლევანის და თამუნას, შვილიშვილებს–საბასა და ქეთის, გიხაროდა მათი წარმატებები და ლოცულობდი მათთვის.

ფრთამოტეხილი დატოვე მეუღლე ალიკო, ზღაპრული და-ძმური სიყვარული გაკავშირებდა დათოსთან.

გვაკლია ქეთი შენი მხნეობა, იმედი, სითბო და შემართება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არსებობს, უფლის ნებას უნდა დავემორჩილოთ, ისღა დაგვრჩენია მოგიგონოთ და ღმერთს ვთხოვოთ სასუფეველი დაგიმკვიდროს.

დაბადების დღეს გილოცავთ ქეთი! შენი ნათელი ხსოვნა მარადიულად იცოცხლებს ჩვენში.

ქეთევან ბახტაძე,
გაზეთ „ხონის“
რედაქცია

ბორის ბაბუნაშვილის ხსოვნას

ჩვენს სამეზობლოს, ჩვენს სანათესაოს გამოაკლდა შესანიშნავი პიროვნება, ოჯახისა და გვარის ღირსეული შვილი, ქირსა და ლხინში ყოველთვის გვერდით მდგომი, ყველა კარგი საქმის მესვეური ბორია ბაბუნაშვილი, რომელიც სარგებლობდა პატივისცემითა და სიყვარულით. ბორია ოჯახის დიდი გულშემატკივარი, ქვეყნის ბედზე მოფიქრალი, ქართული ოცნების გულმხურვალე მხარდამჭერი იყო, იგი საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდა.

ბორია ვახლდათ ქართული ტრადიციული ოჯახის კარგი მამა და ბაბუა. მან თავის ღირსეულ მეუღლე რუსუდანთან ერთად ქვეყანას აღუზარდა კეთილშობილებით აღსავსე შვილები–ლელა და ბობა, რომლებიც გააგრძელებენ მამის მიერ დატოვებული ოჯახის ტრადიციებს. არასოდეს დაივიწყებენ მის ამაგს და ყოველთვის იამაყებენ მისით.

ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან ბორია, იგი შეუერთდა დედ–მამისა და უდროოდ წასული ძმის–მიშიკოს სულებს. ნათელი და სანთელი მათ.

შენ დაგვტოვე ბორია და ამით ძალიან დაგვწყვიტე გული. მშვიდობით, არასოდეს დაგივიწყებთ. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა შინა, გვჯერა, შენი სული ზეციური საქართველოდან განაგრძობს ფიქრსა და ლოცვას ოჯახისათვის, სამშობლოსათვის...

ქეთევან ბახტაძე

ერმილე (ემალიკო) სერგოს ძე ტერელაძის გახსენება

ენით გამოუთქმელი ტკივილია ის, რომ წარსულ დროში ილაპარაკო ადამიანზე, რომელიც სიკეთესა და სიყვარულს თესდა ყველას მიმართ. ასევე ძნელია წარსულ დროში მოიგონო შენი ბავშვობის მეგობარი და შენი ძუძუმტე. ემალიკო — ასე გეძახდით შენი თანაკლასელები, შენი ძვირფასი მშობლები, ერთადერთი ძმა და ოთხი ბიძაშვილი, შენ ყველაზეპატარა იყავი მათ შორის. ამაყობდი, რომ შენ გმირი აკ. ტერელაძის ბიძაშვილისშვილი იყავი, და არასოდეს შეგირცხვენია შენი გვარი. თანაკლასელებიდან ყველაზე გვიან დაოჯახდი, მაგრამ გყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და ორი ქალიშვილი. ერთი უკვე ექიმია და მეორეც მალე გახდება. ემალიკო, ძალიან დასანანია, რომ შენ უკვე დატოვე ისინი. თანაკლასელებიდან უკვე ხუთნი აღარ ხართ, მეხუთე შენ გახდი ჩვენო მეგობარო, ძალიან განიცდიდი ყველას დაღუპვას. განსაკუთრებით გურამ ქავზინაძის გარდაცვალებამ გაგანადგურა, თქვენ ხომ ერთად გაზრდილები და ნათლია-მირონი იყავით. ღმერთმა ორთავეს დაგიმკვიდროთ სულთათანა, იძინეთ მშვიდად, სანთელ-საკმეველი არ მოკლებოდეს თქვენს სპეტაკ სულებს.

გულისტკივილით ქუტირში
მცხოვრები თანაკლასელები:
გულთამზე ფოცხვერია,
გეჭან, მიხეილ,
სოსო რუხაძეები,
ამირან სუხონოვი

უშენობა გვტკივა...

ვაკო დეისაძის გახსენება

დადგა ნელინადის შენთვის საყვარელი დრო – ზამთარი, დეკემბერი,... ახალი წლის მოახლოებას რომ ზეიმობს ყველა, დიდი თუ პატარა. ვინ იცის 3 წლის წინ შენ როგორი სიხარულითა და ენთუზიაზმით ხვდებოდი ახალი წლის შემობრძანებას ჩემო ვაკო, მაგრამ ვაი, რომ არ დაგაცალა გამჩენმა...

ტრაგიკულად წახვედი იმიერში, რომლისთვისაც ძალიან მენანები ახალგაზრდა, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ვაუკაცი. 27 წლის ასაკში გადასახლდი საუფლოში და დაიმკვიდრე ცათა სასუფეველი, მაშინ, როდესაც ცხოვრება უნდა დაგენყო ოჯახთან და საყვარელ ადამიანებთან ერთად...

მიჭირს, ძალიან მიჭირს ყოველ წელიწადს ვწერო შენი გახსენება, მაგრამ რა ვქნა?! ჩვენი რეალობაც ხომ ესაა, რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით...

არ მინდა ტკივილი, რომელიც თქვენს გულებშია და რომელსაც ცრემლების ზღვა მოსდევს თავიდან გავიახლოთ ჩემო საყვარელო ადამიანებო – ია დეიდა, ნანა და რეზიკო, მაგრამ რას ვიზამთ... სანუგეშებელი სიტყვის თქმა ძალიან მიჭირს თქვენთვის. 3 წელი გადის ვაკოს გარდაცვალებიდან და ვიცი, რომ ეს თქვენთვის გუშინდელი დღესავით არის, ცხოვრობთ და ცოცხლობთ ამ უდიდეს ტკივილთან ერთად...

რა ვქნა, რით განუგეშოთ არ ვიცი, აქ სიტყვები ზედმეტია... უბრალოდ, ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს ვაკოს ტრამვისგან მიყენებულ ტკივილებს მამა, ყველასათვის საყვარელი ადამიანი ცხონებული ვალერი დეისაძე უამებს, გულში იკრავს, ალბათ ეჩხუბება კიდეც ნაადრევად მიახლებულ შვილს, თუმცა მონატრებისგან ეფერება, ეალერსება...

უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი ზეციურ საქართველოში ვაკო და ვალერი დეისაძეებო, დანატოვართ კი გამძლეობას გისურვებთ.

სალომე კალატოზი

მეუღლე რუსუდან ქავჭანიძე, შვილები ლელა და ბობა ბაბუნაშვილები, შვილიშვილები მარიამ და დემეტრე რატიანები, რუსუდან და ოთო ბაბუნაშვილები, და ნინო, რძალი ნუნუ სურმავა, სიძე პაატა რატიანი, რძალი ნუცა გაგუა, ცოლისდები ნანა და დოდო ქავჭანიძეები, ძმისშვილები და დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბორისი ნოეს ძე
ბაბუნაშვილი.

დაკრძალვა 2 დეკემბერს, ხუთშაბათს, 2 საათზე, გამოსვენება: წმ.ნინოს ქ. №47 დან.

გორდის საჯარო სკოლის პედაგოგები და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის თანამშრომელი

დავით ხაჟომია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფალთ.

გორდის საჯარო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ირინე და ლევან ფანცულაიებს დედამთილისა და დედის

ალესადე (ნორა)
მამარდაშვილი–ფანცულაიას

გარდაცვალების გამო.

კუხის საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი თანაუგრძნობს პედაგოგ ეკა ლიპარტელიანს მამის

მიშა ლიპარტელიანის

გარდაცვალების გამო.

ქეთინო ველენიძე ოჯახით თანაუგრძნობს მოლინა ველენიძეს, მარინა და მაია ჯიშკარიანებს, ანა ზარნაძეს, კობა მინაძესა და შაკო ზარნაძეს მეუღლის, მამის, ბაბუასა და სიმამრის უკეთილშობილესი პიროვნების

რომან ჯიშკარიანის

გარდაცვალების გამო.

გორდის საჯარო სკოლის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა ჩიხლაძეს მამის

შოთა ჩიხლაძის

გარდაცვალების გამო.

ცაცა, მაია, მიშიკო, პაატა ფეიქრიშვილები თანაუგრძნობენ მარინა ჯიშკარიანს, ლამზირა და კობა მინაძეებს მამის, მძახალისა და სიმამრის

რომან ჯიშკარიანის

გარდაცვალების გამო.

გორდის საჯარო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან ჯიშკარიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორი
მაია ფეიქრიშვილი
ტელ:577397468

სარედაქციო კოლეგია
ნანე ფანცულაია
(პასუხისმგებელი მდივანი)
ლია ჩიხლაძე
(კორესპონდენტი)

ი(ა)ილ საინფორმაციო ცენტრი „ხონი“
დირექტორი ქეთევან ბახტაძე
რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.
ს/კ 444957913
ელფოსტა: xonissainformacio centri@yahoo.com

რედაქციის მისამართი:
პოლიკარპე კაკაბაძის ქ. №15,
საკრებულოს შენობა,
II სართული.

გაზეთი იბეჭდა, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხონელი 26“-ში
დიზაინერი თეა პაპაბაძე
ოპერატორი სალომე კალატოზი
ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 22-37-11, 22-34-88.

გაზეთი გამოდის თვეში ორჯერ
ფასი 50 თეთრი